

ნანა კუცია¹, მირანდა თოდუა²

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.24>

**ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პოსტმოდერნისტული
ანარეკლი როსტომ ჩხეიძის ესეისტურ-ბელეტრისტულ ნარკვევში
„ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“**

აბსტრაქტი. ქართული ლიტერატურა, მისი ზოგადი სურათი თუ ცალკეული ასპექტები, ქართველი ერის ისტორიასთან ერთად, მსოფლიო მხატვრული აზროვნების უაღრესად საინტერესო, თვითმყოფი და თვითმკმარი სივრცე, ერის ერთი უპირველეს მახასიათებელთაგანი, ქართველ (და არა მხოლოდ) მკვლევართა ინტერესის საგანი არაერთგზის გამხდარა. მხოლოდ მარჯორი და ოლივერ უორდროპების, მარი ბროსეს, არტურ ლაისტის, დევიდ ლენგის, დონალდ რეიფილდის, ლუიჯი მაგაროტოს, ალექსეი ლოსევის... სახელთა გახსენება კმარა დასტურად, უცხოელთაგან რამდენად ავტორიტეტული მოაზროვნენი უღრმავდებოდნენ პრობლემას, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ქართველთა (ვახტანგ კოტეტიშვილის, კორნელი კეკელიძის, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, არჩილ ჯორჯაძის, რევაზ სირაძის, გრიგოლ კიკნაძის, აკაკი გაწერელიას, გურამ ასათიანის, თამაზ ჩხენკელის, ზურაბ კიკნაძის, ...) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ლიტერატურის ინსტიტუტის გამორჩეულ მეცნიერთა თაობების ღვაწლზე.

წერილში განვიხილავთ ქართული ლიტერატურის ისტორიის პოსტმოდერნისტულ ინტერპრეტაციას - როსტომ ჩხეიძისეულ ვერსიას ეროვნული მწერლობის განვითარების მაგისტრალურ ხაზთან დაკავშირებით.

¹ **ნანა კუცია**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

² **მირანდა თოდუა**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

პოსტმოდერნისტის კონცეფცია დაფუძნებულია პავლე ინგოროყვასეულზე - ღვთისდამვიწყებელ სახელმწიფოშიც არსებობდა ლიტერატურის „საღმრთოობისა და საღმრთოდ გასაგონობის“ გამაცნობიერებელთა დასი - ჯერ კიდევ პავლე ინგოროყვა ისევე გამიჯნავდა ქრონოლოგიურ დროსა და ზედროულობას, როგორც დასავლურმა მოდერნისტულმა მწერლობამ დაა-ცალკევა გარეგანი და შინაგანი დრო. მწერლობის მკაცრ ისტორიულ-ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა არ ექაშნიკებოდა და, თუმცა ვერ განახორციე-ლა, გულში კი ამოეჭრა, ოდესმე ისე დაეწერა ქართული ლიტერატურის ის-ტორია, შეეფარდებინა არა იმდენად ისტორიული ქრონოლოგიისათვის, არამედ - იდუმალი კანონებისათვის, რაც ამა თუ იმ მხატვრულ ქმნილებას სულ სხვა ადგილს მოუძებნიდა სულიერების ფონზე, ზედროულობის კონტე-ქსტში.

სწორედ ამ „იდუმალ კანონთა“ გათვალისწინებით ააგებს თავის ტექსტს როსტომ ჩხეიძე და ყოველ „ტეხილში“ (დეფინიცია ავტორისეულია) კეთილ-სინდისიერად მოიხსენიებს ღირსეულ მკვლევართ, ვისი ნააზრევიც მსოფ-ლიო ლიტერატურულ პროცესებთან აკავშირებდა „რკინის ფარდით“ მსოფ-ლიო კულტურისაგანვე გამიჯნულ საზოგადოებას (არა მხოლოდ ქართულს).

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული მწერლობა, პოსტმოდერნიზმი, რო-სტომ ჩხეიძე, ესეისტურ-ბელეტრისტულ ნარკვევი.

Nana Kutsia³, Miranda Todua⁴
Sokhumi State University

A Postmodernist Reflection on the History of Old Georgian Literature in Rostom Chkheidze's Beletristical essay "A Glimpse at Georgian Literature"

Abstract. Georgian literature – whether in its general panorama or in particular aspects – along with the history of the Georgian nation, represents a highly inter-esting, unique, and self-sufficient space within the world’s artistic thought, one of the primary characteristics of the nation, and has repeatedly become the focus of interest for Georgian (and not only Georgian) scholars. It is enough to recall the names of Marjory and Oliver Wardrop, Marie Brosset, Arthur Leist, David Lang, Donald Ray-field, Luigi Magarotto, Alexei Losev... as evidence of how many authoritative foreign thinkers have delved deeply into this field, not to mention the contributions of Georgian scholars themselves (Vachtang Kotetishvili, Korneli Kekelidze, Pavle

³ **Nana Kutsia.** Doctor of Philology, Associate Professor at Sokhumi State University;

⁴ **Miranda Todua.** Doctor of Philology, Associate Professor at Sokhumi State University.

Ingorokva, Geronti Kikodze, Archil Jorjadze, Revaz Siradze, Grigol Kiknadze, Akaki Gatserelia, Guram Asatiani, Tamaz Chkhenkeli, Zurab Kiknadze, and others), as well as the work of distinguished generations of researchers from Tbilisi State University and the Institute of Literature.

The paper discusses the postmodernist interpretation of the history of Georgian literature – Rostom Chkheidze’s version concerning the main trajectory of the development of national literature.

The postmodernist’s concept is grounded in Pavle Ingorokva’s idea that even in a God-forgetting state, there existed a group of people who were conscious of the “sacredness and divinely intended purpose” of literature. Pavle Ingorokva had already distinguished between chronological time and supra-temporality, just as Western modernist literature separated external and internal time. He did not object to the idea of freeing literature from rigid historical-chronological frames, and although he could not realize it, he harbored the inner desire to someday write the history of Georgian literature in a way that would correlate not so much with historical chronology, but with the mysterious laws that could assign a completely different place to a given artistic work within the background of spirituality, in the context of supra-temporality.

It is precisely with these “mysterious laws” in mind that Rostom Chkheidze constructs his text, conscientiously acknowledging at every “break” (a term coined by the author) those worthy scholars whose ideas connected a society isolated from world culture by the “Iron Curtain” (not only the Georgian one) with global literary processes.

Keywords: Old Georgian Literature, Postmodernism, Rostom Chkheidze, Belet-ristical essay.

შესავალი. ქართული ლიტერატურა, მისი ზოგადი სურათი თუ ცალკეული ასპექტები, ქართველი ერის ისტორიასთან ერთად, მსოფლიო მხატვრული აზროვნების უაღრესად საინტერესო, თვითმყოფი და თვითმკმარი სივრცე, ერის ერთი უპირველეს მახასიათებელთაგანი, ქართველ (და არა მხოლოდ) მკვლევართა ინტერესის საგანი არაერთგზის გამხდარა. მხოლოდ მარჯორი და ოლივერ უორდროპების, მარი ბროსეს, არტურ ლაისტის, დევიდ ლენგის, დონალდ რეიფილდის, ლუიჯი მაგაროტოს, ალექსეი ლოსევის... სახელთა გახსენება კმარა დასტურად, უცხოელთაგან რამდენად ავტორიტეტული მოაზროვნენი უდრმავედობდნენ პრობლემას, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ქართველთა ვახტანგ კოტეტიშვილის, კორნელი კეკელიძის, პავლე ინგოროვას, გერონტი ქიქოძის, არჩილ ჯორჯაძის, რევაზ სირაძის, გრიგოლ კიკნაძის, აკაკი გაწერელიას, გურამ ასათიანის, თამაზ ჩხენკელის, ზურაბ კიკნაძის, ...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ლიტერატურის ინსტიტუტის გამორჩეულ მეცნიერთა თაობების ღვაწლზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერალთა ნააზრევი მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ საგანძურზე. ნიმუშად **გრიგოლ რობაქიძის ესკიზს - „ქართული პროზისათვის“** - დავასახელებდით, რომელშიც ერთგვარი კონსპექტის, სინოპსისის სახითაა წარმოდგენილი ავტორისეული გეგმა ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის წარმოსაჩენად.

დისკუსია. როსტომ ჩხეიძის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ (ჩხეიძე, 2014; ჩხეიძე 2015) ჟანრობრივად შეიძლება გავიაზროთ ესედი, ნარკვევად, სამეცნიერო ნაშრომად, რადგანაც თითოეულის ნიშნებს ატარებს.

„მოსალოდნელია, მხატვრულ-იდეურმა ხორცშესხმამ სულ სხვაგვარად წარმოგადგენინოს ცალკეულ თხზულებათა თანმიმდევრობა ისტორიულ-ქრონოლოგიურ დროსა და სულიერ პლანში, ხან კიდევ მიესადაგოს ერთიმეორეს, ხანაც - ორი განსხვავებული სურათი გადაგვეშალოს - უხილავი საზღვრით აღმოჩნდეს გამიჯნული ისტორიულ-ქრონოლოგიური დრო და სულიერი განვითარების დრო... არსებობს ფარული, იდეალური დინებანი, რაც საშუალებას გაძლევს, გაარღვიო გარემომცველი, თუნდ უკიდურესად დახუთული, შემოჭვლეტი სივრცე და არ ამოვარდე დასავლური (მსოფლიო) სალიტერატურო პროცესის ზოგადი მდინარეებისაგან“, - განსაზღვრავს თხრობის ძირითად მიმართულებას ავტორი, ტექსტთა და სკოლათა საკუთარი თანმიმდევრობის (გააზრების) შემოთავაზებამდის რომ სოცრეალიზმის „თავისებურებებზე“ ჰყვება: „პროკრუსტეს სარეცელზე მომწყვდეული სალიტერატურო პროცესი ძალდატანებით შეეფარდებინათ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა მონაცვლეობისათვის. ამგვარი განსაზღვრებით ლაგდებოდა „ფეოდალური, ბურჟუაზიული თუ სოციალისტური მწერლობა“, თითქოს სოციალური დანიშნულება მწერლობის ერთადერთი მოვალეობა ყოფილიყო და არა - ერთ-ერთი ასპექტი.“

იქვე რემარკაა, რომ ღვთისდამვიწყებელ სახელმწიფოშიც არსებობდა ლიტერატურის „სადმრთოობისა და სადმრთოდ გასაგონობის“ გამაცნობიერებელთა დასი: „ჯერ კიდევ ჰავლე ინგოროყვა ისევე გამიჯნავდა ქრონოლოგიურ დროსა და ზედროულობას, როგორც დასავლურმა მოდერნისტულმა მწერლობამ დააცალკევა გარეგანი და შინაგანი დრო. მწერლობის მკაცრ ისტორიულ-ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა არ უჭაბნიკებოდა და, თუმცა ვერ განახორციელა, გულში კი ამოეჭრა, ოდესმე ისე დაეწერა ქართული ლიტერატურის ისტორია, შეეფარდებინა არა იმდენად ისტორიული ქრონოლოგიისათვის, არამედ - იდეალური კანონებისათვის, რაც ამა თუ იმ მხატვრულ

ქმნილებას სულ სხვა ადგილს მოუძებნიდა სულიერების ფონზე, ზედროულობის კონტექსტში.“

სწორედ ამ „იღუმალ კანონთა“ გათვალისწინებით ააგებს თავის ტექსტს როსტომ ჩხეიძე და ყოველ „ტეხილში“ (დეფინიცია ავტორისეულია) კეთილსინდისიერად მოიხსენიებს ღირსეულ მკვლევართ, ვისი ნააზრევიც მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან აკავშირებდა „რკინის ფარდით“ მსოფლიო კულტურისაგანვე გამიჯნულ საზოგადოებას (არა მხოლოდ ქართულს). „საქართველოს დამოუკიდებლობის ეფემერულ ხანაში“ ხელისუფალთ პავლე ინგოროყვასათვის მიენდოთ ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვის შედგენა, ოდნავ მოგვიანებით კი, როდესაც ერთმანეთს წამიერად დაემთხვა „საბჭოთა იმპერატორისა“ (სტალინის) და ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ინტერესები, პავლე ინგოროყვასვე ნება დაერთო, ქართული მწერლობის ისტორია წარმოედგინა არა უაღრესად შეკვეცილი, დაკნინებული სახით - ეგნატე ნინოშვილით დაწყებული, არამედ - წარმოესახა მთავარი ტეხილები და მიმდინარეობები *ხეთური ეპოქიდან, წარმართული სამწერლო ტრადიციიდან - ვიდრე უახლესი მწერლობის კონტურებამდის*.

ამავე მანძილებს „გადავლება თვალი“ როსტომ ჩხეიძის კვლევაში - ოცდაცამეტ ნაკვეთად წარმოდგენილ პანორამაში, წარმოჩნდება „მთავარი ტეხილები და მიმდინარეობანი.“

სიზმარი ფარნავაზისა (პროზად არანჟირებული), წარხოცილი რიტმიკა „წყობილი სიტყვისა“, ეპიკური თქმულება ფარნავაზზე, ამ ყაიდის მთელი ციკლის სავარაუდოობა, როგორც გილგამეშზე შუმერულ ხანაში შექმნილი პოეტურ-ჰეროიკულ თქმულებათა სერია, გილგამეშის შუმერული თავგადასავლის ქართული ანალოგი (პავლე ინგოროყვასა და სარგის ცაიშვილის ჰიპოთეზა) კვლევის ექსპოზიციად წარმოდგება.

პავლე ინგოროყვასავე განმარტებით, ათასხუთასწლოვანი ლიტერატურა, „მარტოდენ ახალი ხანაა ქართული მწერლობისა“ (ინგოროყვა, 2009) იგივე კონტექსტი, კვლევის იგივე რაკურსი ილანდება როსტომ ჩხეიძისეულ ვარიანტშიც.

საგულისხმოა ვარაუდი: „იმის მიუხედავად, შექმნა თუ არა ქრისტეს დაბადებამდე მე-3 მე-2 საუკუნის რაფსოდმა ფარნავაზის ეპოსი, ამ გმირმა უთუოდ შეუმაღლა ხელი გაცილებით არქაული - ამირანის ეპიკური სიმღერების გამთლიანებას ერთიან ეპოსად და ეს ფოლკლორული ძეგლი კიდევ დაიკარგებოდა, შუა საუკუნეებში მოსე ხონელს რომ არ მოუნდომებინა ბუნდოვან ხსოვნად შემორჩენილ ეპიკურ სიმღერათა მთაგონებით რაინდული ყაიდის თხზულების - „ამირანდარეჯანიანის“ შექმნა, მოსე ხონელი რომ არა, ეს სახეც და ეპი-

კური ქარგაც ისევე ამოიშლებოდა ეროვნული ცნობიერებიდან, როგორც აიეტის სამეფოს ხსოვნა“ (ჩხეიძე, 2014).

მეორევე „ტეხილში“ მოხსენიება მოსე ხონელისა (უზარმაზარი ისტორიული მანძილის, უამრავი ავტორისა და ტექსტის გამოტოვებით) ნათელყოფს, რომ ავტორი სწორედ ლიტერატურის „იდუმალ კანონთა“, „ზედროულობის კონტექსტის“ გააზრება-მოხელთებას ესწრაფვის და არა კიდევ ერთი მოსაწყენი ქრონოლოგიური ნუსხის შემოთავაზებას მკითხველისათვის.

მკვლევარს შემთხვევითად როდი მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის „რეიტინგ-ლისტში“ ჩამონათვალის სათავეში სწორედ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ მოხსენიება („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“).

ბელეტრისტული ფორმით შესრულებული ტექსტი როსტომ ჩხეიძეს აღუქვამს კლასიკურ ნიმუშად რაინდული რომანისა, რომელიც „ზღვად მოსკ-და ევროპაში და თავისი ერთფეროვნებითა და უსახურობით გამოიწვია შექმნა სერვანტესის „დონ კიხოტისა“ - ჟანრის პაროდისა, კიდევ რომ მოათავა ეს დაუსრულებელი ნაკადი, ვიდრე უოლტერ სკოტი ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა.“

მორიგ „ტეხილში“ თხრობა ათასწლეულებით წინ ინაცვლებს: „ძველბერძნული ტრადიციით შემონახული ცნობა კოლხეთის სამეფოში ოქროთი ნაწერი კვირების შესახებ აღაგზნებდა მკვლევართა წარმოსახვას - ოქროს საწმისის სიმბოლიკაში ეძებნათ ქართული დამწერლობის ერთ-ერთი პირველსახე... კოლხთა სამეფოს დიდებული სახეა და ოქროს საწმისით გატაცებაც ამ მიწა-წყლიდან ძალაუნებურად აფიქრებინებდა მკვლევართაც, რომ შემთხვევითი არც პრომეთეს მიჯაჭვა უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც კავკასიონის ქედზე და ბერძენი ღვთაების ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი ახსნეს, როგორც ნაშთი პრომეთეს ნამდვილი წარმომავლობისა - მისი ქართული ფესვებისაკენ გზის გამკაფავი“ (ჩხეიძე, 2014).

უხვი ციტაცია განპირობებულია სურვილით, მეტ-ნაკლები სიზუსტით რეფლექსირდეს ქართული მწერლობის ისტორიის პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაციის სურნელი და სიღრმე, სურათთა მეყსეული, ერთდროულად ლოგიკური და ინტუიციური მონაცვლეობა, ხან გაბმულ, დისტანცირებულ, ხანაც - მოახლოებულ კადრთა ეფექტი.

მორიგი წიაღსვლა ანტიკური ხანიდან პირდაპირ მეცხრამეტე საუკუნეში შემოგვიყვანს: „ახალი დროის ქართული სინამდვილის ორმა შემოქმედმა ზეპირსიტყვიერების ეს სახე თუ პერსონაჟი (ამირანი) განაზოგადა საქართველოს დრამატული ისტორიის თუ ბედისწერის სიმბოლოდ. ფოლკლორული მასალის პოლიტიზებით აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ ქართვე-

ლთა მოდგმის ისტორია, ზნე-ჩვეულებანი, ხანგრძლივობა მიანიშნეს - აკაკი თუ პრომეთე-ამირანის ქართულ სულიერებასთან იდენტობას გაამკვეთრებდა, ვაჟა გაზაფხულის მოვლინებას შეუთანაბრებდა, მითოსური პროცესის ციკლურობაში ჩართავდა“ (ჩხეიძე, 2014).

ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟის მითოლოგიზებული ხატების ანალიზისას როსტომ ჩხეიძე ერთხელ კიდევ გაიხსენებს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“ - დასავლურ რომანთაგან რომელსა აქვს ასეთი ბიოგრაფია, შუა საუკუნეების ყოფიდან კი არა, უმორესი ჟამიდან მოდიოდეს და მითოსში ედგას ფესვიო. ამიტომაც ვერ იმეტებს მას „დონ კიხოტში“ გაპამპულებულ სარაინდო რომანთა შორის საგულეებლად.

„ოქროს ხანაში“ მითოსური გმირის აღორძინება მწერალს ლოგიკურ ქმედებად მიაჩნია, ბუნებრივად იმ ჟამისათვის, საუკუნეთა შემდგომ დასავლური რენესანსის სრულუფლებიან ნაწილად რომ შეირაცხებოდა.

პასაჟი ნათლად წარმოაჩენს ბელეტრიზებული კვლევის ერთ არსებით მახასიათებელსაც - ქართული ლიტერატურის ისტორიის გააზრებას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში (რაკურსის ერთ-ერთ არქეტიპად აღვიქვამთ კონსტანტინე გამსახურდიას უადრესად საგულისხმო ესე - „ქართველობა და უცხოეთის გენია“ (გამსახურდია, 2014; გამსახურდია, 1983: 292-296).

„ქართული ჰაგიოგრაფიის უმთავრეს თავისებურებად ერის გადარჩენისათვის ზრუნვა და თავგანწირვა გამოკვეთილა და უკეთესი გამოვლინებებისას სწორედ ამით განირჩევა ბერძნულ-ლათინურ მარტივობათაგან, რომელთაც მხოლოდ ქრისტიანობისათვის წამებულითა ბიოგრაფიულ ეპიზოდთა მორწმუნეთათვის მაგალითად დასახვა დაეკისრებოდა.“ პასაჟი თითქმის რემინისცენციაა გერონტი ქიქოძის თვალსაზრისისა, „ჩვენ გვიყვარდა ცხოველი სარწმუნოება, ბიზანტიელთ - თეოლოგიაო“ (ქიქოძე, 1990).

პავლე ინგოროყვა ჰაგიოგრაფიულ რკალს „ბიოგრაფიული ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურის“ სახელით იხსენიებდა და ჟანრს აახლოებდა ბიოგრაფიულ-დოკუმენტურ რომანთან.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე მსჯელობისას ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ტრადიციული, სამეცნიერო კორპუსის მიერ ლიბოდებული აკადემიური აღქმა მეორდება: „იაკობ ხუცესის ქმნილება ტრაგედიას უახლოვდება მოქმედების ერთიანობით, კომპოზიციის მთლიანობით, დიალოგის აგების ხერხით, ფონისა და მოქმედების შეთავსებით, კონფლიქტის განვითარების ადლოთი.

სტრუქტურულად განსხვავებულია „აბოს წამება“ - ამბავი „ჩადგმულია“ პროლოგსა და ეპილოგში, პროლოგად ეპისტოლენი და მორალიტე შეირჩევა,

ეპილოგად - ქებაი. „მიჩქმალული გმირის“ - ნერსე ერისთავის აპოლოგიასაც გაესმის ხაზი, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების რეზიუმირებისასაა ბუნებრივი პერსონაჟის დეაწლის ხაზგასმა - კულტურის უწყვეტობის შენარჩუნება ტაო-კლარჯეთში გამდიდრი სამონასტრო მშენებლობით, სულიერების განმტკიცება, დაპირისპირება არა მხოლოდ არაბულ ექსპანსიასთან, ბიზანტიის ეკლესიის ზეგავლენასთანაც“ (ჩხეიძე, 2014).

მხოლოდ „კვირიელისონის“ ბერძნული ტარნსკრიფცია-ტრანსლიტერაციის ხაზგასმას ქართული ენის მესიანისტური არსის საქადაგებლად ნიადაგის შემზადებად აღიქვამს მწერალი-მკვლევარი. როსტომ ჩხეიძის აზრით, გიორგი მერჩულის ენობრივ-სარწმუნოებრივი ფორმულა იოანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“-ს წანამძღვარია, იქნებ, ინსპირაციაც (ჩხეიძე, 2014). საგლობელში რეზიუმირებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღზევების ასწლიანი „ოქროს ხანის“ იდეალი, მესიანისტური მრწამსი - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში თამარის „სამეხისა თანა ოთხებად“, „ტაბახმელისა ბეთლემმყოფლად“ (ორთოქსული კონცეპტით - ერეტიკული) კონსტატირება ერთი კონკრეტული მემკვიდრის პირადი განწყობილება როდია (კუცია, 2014: 4).

ხედვის აღნიშნული რაკურსი განსაკუთრებული ანალიზის საგანი მეოცე საუკუნის ოციან წლებში გახდება. მოგვიანებით, „ეფემერულად გადაელვებული დამოუკიდებლობის“ (1918-1921) ჟამიდან სამოცი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნისავე ოთხმოციან წლებში, აკაკი ბაქრაძე გამოკვეთს მესიანისტური იდეის ოთხ კონცეპტს: 1. ქართული ენის დაკავშირება მაცხოვრის სახელთან („ქება...“, „შიოსა და ევანგელს ცხოვრება“, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“); 2. უფლის კვართის დავანების ალაგად მცხეთის მიჩნევა; 3. საქართველოს აღიარება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად; 4. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დაკავშირება დავით წინასწარმეტყველსა და სოლომონ მეფესთან.

აღნიშნულ პრობლემას თხრობის „სპირალურ ტეხილში“ კვლავ დაუბრუნდება მკვლევარი - მეოცე საუკუნის ლიტერატურულ პროცესთა ანალიზისას. „წყობილი სიტყვის“ ურითმო, რიტმიზებულ ტექსტებს მოჰყვა თავისუფალი რთული მეტრით შექმნილი სასულიერო ჰიმნები, რომელთა „ლექსითი ბუნება“ პავლე ინგოროყვას იშვიათმა ერუდიციამ და ინტუიციამ, ბიზანტიურ საგლობელთა ღრმა ცოდნამ განსაზღვრა (სწორედ ამ ტრადიციას აგრძელებენ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ქართული ვერლიბრის დიდოსტატები: ლია სტურუა, ესმა ონიანი, ბესიკ ხარანაული... -ნ. კ.). იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, იოანე ქონქოზისძის, ეზრას, კურდანაი-კვირიკეს, სტეფანე სანანოისძის, ფილიპე ბეთლემელის, ზოსიმე მთაწმინდელის, მაკარის, ბორენა დედოფლის,

იეზუიტების, არსენ გულმაისიძის ვერსიფიკაციული ოსტატობა, რელიგიურ-ესთეტიკურ სიდრმესთან ერთად, ქართული ვერლიბრის მრავალსახოვან წანამძვრადაც მართებულად აღუქვამს მკვლევარს - როგორც უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლებია“ უმაღლესი სინჯის პოეზია, თუმც ავტორი გრაფიკულად პროზაულ ტექსტებად ნიღბავს.

ექვთიმე მთაწმინდელის სკოლის ღვაწლი - ქართულად ამეტყველება ქრისტიანული საგანძურისა, ქართველ მამათა გავლენა მსოფლიო ქრისტიანულ მოძრაობაზე (ბერძნულად „სიბრძნე ბალაჰვარისა“-ს - ბუდიზმის ისტორიის - ქრისტიანიზებული ვერსიის თარგმნა, „ნათესავით ქართველი“ გიორგი მთაწმინდელის - ბიბლიის კანონიკური ტექსტის მთარგმნელის - აღიარება „სწავლულებითა და მეცნიერებითა ბერძენთა სწორად“.), ქართული კულტურის ისტორიის ერთ უარსებითეს ეპიზოდად გაიზრება ბელეტრიზებულ კვლევაში.

მწერალი-მკვლევარი ოთარ ჩხეიძის საგულისხმო დაკვირვებას დაიდასტურებს: „უცხოურ გარემოში მოხვედრილი სულიერი მამები თუმც შეეცდებოდნენ იმ მხატვრული სტილისტიკის შენარჩუნებას, ეროვნული თვითმყოფლობის დიდი გრძნობიდან რომ მომდინარეობს, გაითვალისწინებდნენ უცხო გარემოს გემოვნებასაც და სტილსაც, ძარღვს გადაარჩენდნენ, გადმოცემის მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე ბ ა მაინც განსხვავებულია.“ ოთარ ჩხეიძის თვალსაზრისის აზრობრივ გაგრძელება-განვრცობად აღიქმება როსტომ ჩხეიძისეული კომენტარი: „პეტრე იბერი და მისი სკოლა თუმც ერთმორწმუნეობის კოსმოპოლიტურ მორევს ჩაეთრია, [მთამომავლები] დასაკარგავად ვერ გაიმეტებდნენ არეოპაგიტული კორპუსის შემოქმედს, მნიშვნელოვანწილად რომ განესაზღვრა დასავლური რენესანსის იდეურ-ფილოსოფიური საფუძვლები... ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეროვნულ თავმოყვარეობაზე მალამოს წაცხებას ჰგავდა პოლიტიკური უუფლებობის, ეროვნული ჩაგვრის ჟამსო“ (ჩხეიძე, 2014; ჩხეიძე, 2015), ამ ეპოქალურ პარალელიზმს მოიშველიებს როსტომ ჩხეიძე ს უ ლ ი ე რ ი ჟამის უწყვეტობის, ლიტერატურის „იღუმალ კანონთა“ დასტურად.

პეტრე იბერის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირეს ქვეყანაში დრონი იცვალნენ და მეოცე საუკუნეში, მატერიალისტურ ფილოსოფიურ დოქტრინათა ზეობის ხანაში, როდესაც „ფილოსოფიისაკენ ბუნებით მიდრეკილთაც“ კი მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიკოსობა უნდა ეკმარათ, როსტომ ჩხეიძის მრწამსით, მხოლოდ პავლე ინგოროყვას სულიერი წყობის მოაზროვნეთ ძალედვით ქრონოლოგიური დროისა და ზედროულობის კონტექსტთა გამიჯვნა - ლიტერატურულ პროცესთა აღქმა ტრანსცენდენტური რაკურსით.

ქართული ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულთათვის უადრესად საინტერესოა ინგოროყვასეული რაკურსი (კონცეპტუალური ქრონოლოგია), რაც ხაზგასმული სიმკვეთრითაა ფიქსირებული როსტომ ჩხეიძისეულ კვლევაში, როგორც ერთგვარი არქეტიპი-ინსპირაცია: 1. *საგმირო ეპოსი, წარმართული სულისკვეთებით აღბეჭდილი (ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ბახტრიონი“*; 2. *პირველქრისტიანთა განცდა-განწყობილებანი (დავით გურამიშვილის „დავითიანი“)*; 3. *ქრისტიანობის ზეობის რეფლექსია (შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“)*.

როსტომ ჩხეიძეს უადრესად საგულისხმოდ მიაჩნია ინგოროყვასეული „ქრონოლოგიის“ არსებითი ნიუანსი - „რუსთველის ეპოსს იღუმალის პროცესის კვალობაზე იქ მიეკუთვნა ადგილი, სადაც ისტორიულადაც მოგვევლინა, ვაჟა და გურამიშვილი კი საგრძნობლად გადაადგილდნენ წარსულში, განსაკუთრებით, ვაჟა.“ მკვლევარი ზურაბ კიკნაძის თვალსაზრისსაც დაიდასტურებს, ინგოროყვასეული მოსაზრების „პომეოფელს“: „ასეთი თვალთახედვა, ალბათ, ისევე გამართლებულია, როგორც იმ მითოსური ხის სიმბოლიკა, რომელსაც ფესვები ცაში აქვს გადგმული, ტოტები კი - დედამიწაზე გადმოხობილი. ის, რაც ცაში დასაბამია, დედამიწაზე შეიძლება დასასრულად წარმოგვიდგეს და პირუკუ. ეს ჰგავს სიზმარში უკუქცეულ დროს.“ ამ თვალსაზრისის დამოწმებისასაც უარსებითეს რეზიუმირებს როსტომ ჩხეიძე: „ვაჟას ეპიკური მემკვიდრეობის ფორმულირებისას ზურაბ კიკნაძე ამჯობინებს არა „წარმართულის“ ხსენებას, არამედ - „ახალი რჯულის დაფუძნებისას.“

ვაჟას პერსონაჟები ქრისტიანობის მესაძირკვლეებად წარმოუდგებოდა არა მარტოდენ ფშავ-ხევსურეთის, არამედ - ზოგადქართულ სინამდვილეში, იმ მხატვრულ გარემოშიც, რომლის მიღმა მიედინებოდა ამქვეყნიური ვნებათაღელვანი თავისი ყოფითი წვრილმანებით - „ვაჟას საუკეთესო გმირები სწორედ იმისთვის არიან შობილნი, გაარღვიონ საზოგადოების წარმართული შეგნება. ჩვენ მის პოემებში ვხედავთ, როგორ იბადება წარმართულ საზოგადოებაში უნივერსალური ქრისტიანული რჯული. ალუდა და ჯოყოლა ამ რჯულის აღმომჩენნი და პირველი მკადრენი არიან... „მკადრეში“ გაბედვის ნიუანსიც არის. ისინი ბედავენ ძველის გარღვევას და ამიტომაც იმეორებენ უნივერსალური რჯულის (ქრისტიანობის) მქადაგებლის ბედს - მათ ჯვარს აცვამს შეშინებული საზოგადოება.“

კვლევის მორიგ „ტეხილშიც“ პავლე ინგოროყვასეულ ქრონოლოგიას მიჰყვება როსტომ ჩხეიძე.

ტომას ელიოტის დაკვირვებით, არსებობს იმ რანგისა და ყაიდის ტექსტები, რომელთა ზეგავლენას ერის სულიერ ცხოვრებაზე მათი გაქრობაც კი ვერ უგულებელყოფდა (კუცია, 201: 2-10).

ამგვარ ქმნილებად როსტომ ჩხეიძე „ვეფხისტყაოსანს“ ასახელებს - მომღევნო საუკუნეთა პოეტებიც ხომ ან უშუალოდ ამ ეპოსს აგრძელებდნენ ათასგვარი ინტერპოლაციითა თუ მთავარ გმირთა შთამომავლობის ამბავთა აღწერით (ნანუჩა ციციშვილი, იოსებ ტფილელი, გიორგი თუმანიშვილი, ქაიხოსრო ომანის ძე ჩოლოყაშვილი, ვინმე „მესხი მელექსე“) ან აჯიბრებოდნენ (თეიმურაზ პირველი), ან მის მოწაფედ რაცხდნენ თავს (დავით გურამიშვილი).

„რუსთველურ ათინათს“ გზნებს მკვლევარი ილიას, „ცისფერყანწელთა“ და გალაკტიონის პოეზიაში. გალაკტიონს სწამდა, რომ „მხოლოდ მან დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა და სრულიად ახალი სივრცე გაუჭრა ქართულ ლექსს: „ჩვენი დრო ახალ რუსთაველს ელის“ სულაც არ უნდა გავიგოთ, როგორც მოლოდინი, რადგან გამჭვირვალედ მიგვანიშნებს - „ახალი რუსთველი უკვე მოსულია გალაკტიონის სახითო“, კონსტატირებულია კვლევაში.

რუსთველისა (და მისი ეპოქის) „ათინათშივე“ ჩნდება როსტომ ჩხეიძის „ქრონოლოგიაში“ აკაკის აბრისიც. კვლავ გალაკტიონისეულს მოიშველიებს - მას აკაკი „ძელი საქართველოს უკანასკნელ მოღანდებად“ მიაჩნდა, თითქმის განგებ რომ ამოსულიყო სამარიდან კიდეც რამდენიმე სურათის შესაქმნელად. ხაზგასმულია ამ ლექსთა აღქმის გალაკტიონისთვის მისაღები, სასურველი რაკურსი - „მეთორმეტე საუკუნის ქართველის თვალი.“

როსტომ ჩხეიძეს საინტერესოდ მიაჩნია გალაკტიონ ტაბიძისა და პავლე ინგოროყვასეულ თვალსაზრისთა დამთხვევა აღნიშნულ სკიოტხთან დაკავშირებით. თუმც რუსთველის ეპოქა ლირიკას მხოლოდ ეპოსის შემდეგ მიუჩენდა ადგილს, პოეტსაც და მეცნიერსაც სწამდათ, რომ აკაკის რამდენიმე ლექსი ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებაზეც მოახდენდა გავლენას (ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული პასაჟები აღიქმება ლირიკულ ლექსთა ჩინებულ ნიმუშებად). ლირიკული ინტერმეცო პოსტმოდერნისტულ ესეიში მკითხველის აბრისსაც გამოკვეთს: „შემთხვევით არ არის ნახსენები მეთორმეტე საუკუნის ქართველი მკითხველი. მხოლოდ ერთი პოეტის გადასანაცვლებლად არა ისტორიულ-ქრონოლოგიური ჩარჩოდან ლიტერატურის იდუმალ კანონთა საუფლოში... გალაკტიონს აფიქრებდა იმჟამინდელი მკითხველი - თავისუფალი, დამოუკიდებელი, ძლევამოსილი ქვეყნის შვილი, ვისაც არა მხოლოდ ენების ცოდნის წყალობით მიუწვდებოდა ხელი მსოფლიო სამწერლო მონაპოვარზე, არამედ ქართულ ენაზე მოეპოვებოდა ეს ყოველივე. ახალმუქმნილი ნიმუშებიც მაშინვე ხდებოდა მისი მშობლიური ლიტერატურის

ნაწილი. მისი თვალსაწიერი ამიტომაც მოიცავდა უკიდუგანო სივრცეს... ამ გე-
მოვნების მკითხველთა სიჭარბემ თავისთავად გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“
შექმნა - იმ კანონზომიერების ძალით, დიდი პოეტების გამოჩენას რომ დიდი
აუდიტორიები იწვევს“ (ჩხეიძე, 2014; ჩხეიძე, 2015).

ინტერმეცო ლოგიკური წიაღსვლით გრძელდება: „ამოუცნობ ენიგმად რჩე-
ბოდა, რატომ არ იყო აღნიშნული ამხელა პიროვნების გვარ-სახელი მატი-
ანეთა ფურცლებზე და ამ თავსატეხის ამოსახსნელად მოიმარჯვეს დევნილი
პოეტის ლეგენდა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, საისტორიო თხრობის მიღმა
აღმოჩნდეს - საკუთრივ უნდა გამოგიჩნდნენ შენი მემატიანენი, შენი ბიოგრა-
ფოსი.“

როსტომ ჩხეიძის კვლევის ეს პასაჟი თითქოს დავით აღმაშენებლის მემ-
ტიანის ფრაზითაა ინსპირირებული: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა
მიემთხვივე მაქებელსა უმიროს.“ რაკურსი იმდენად მნიშვნელოვანია, მკვლე-
ვარი დანაწევრებით აგრძელებს, საკუთარი ბიოგრაფიის გამოუჩნდებოდათ გრი-
გოლ ხანძთელს, გიორგი ათონელს (თავადაც ბიოგრაფიის იოანესი და ექვთი-
მესი), მაგრამ არავის აღუწერია ცხოვრება იაკობ ხუცესისა, იოვანე საბანისძისა,
გიორგი მერჩულისაო.

ეს ინტონაცია აბსოლუტურად ბუნებრივი და მოსალოდნელია როსტომ
ჩხეიძისაგან - ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის,
არჩილ ჯორჯაძის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვი-
ლის, ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის, ქაქუცა ჩოლოყაშვი-
ლის, შიო არაგვისპირელის, მიხაკო წერეთლის, რევაზ გაბაშვილის და სხვა
გამორჩეულ ქართველთა ბიოგრაფიების ავტორისაგან.

ახლო კადრს კვლავ დისტანციურით ჩაანაცვლებს მწერალი-მკვლევარი
(თითქოს დაბალ და მაღალ შაირთა ანალოგიით), პიროვნებათა სილუეტებს
- ლიტერატურული ლანდშაფტით: „საქართველოს ტერიტორიული საზღვრე-
ბი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე შემორკალულიყო და
„ვეფხისტყაოსანიც“ ორივე ნაკადს შეირწყამდა, თუმც გარეგნულად უფრო აღ-
მოსავლური იერი დასდებოდა, მოქმედება ამ სივრცეში გაშლილიყო - და ეს
იმიტომ, რომ საგმირო ეპოსის მხატვრული კანონები აბსოლუტურად ვერ
გუობს შემოზღუდულ სივრცეს.“

კვლავ ჩნდება პარალელი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პასაჟ-
თან: „ბეოვულფის“ მოქმედება არა ბრიტანეთის კუნძულებზე, არამედ დანი-
აში იშლება, რომლის ხსენებაც მთელი ევროპის კონტინენტს გულისხმობს,
მაშინ, როდესაც ბრიტანეთის კუნძულების შერჩევა გმირთა საასპარეზოდ
ეპოსის სივრცეს უკიდურესად შემორკალავდა. ვერც შოთა რუსთველი აირჩე-

ვდა ორ ზღვას შუა მდებარე ტერიტორიას „ვეფხისტყაოსნის“ სამოქმედო ასპარეზად და მაშინდელ მსოფლიოში განფენდა.“

კონსტანტინე გამსახურდიას ზემოაღნიშნულ ესეიში („ქართველობა და უცხოეთის გენია“) ხსენებული ასპექტი გამოკვეთილ-გამკვეთრებულია: „ჩვენი ტერიტორია ხალხთა ხიდი იყო, ჩვენი ისტორიული მისია - შეურიგებელ კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს - ევროპისა და აზიის სულის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორი დიდი სამყაროსაგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა. „ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიც ქართული სული სრულად განსახიერდა“ (გამსახურდია, 2014; გამსახურდია, 1983: 292-296).

კვლევის მორიგ პასაჟში კვლავაც აბსოლუტურად განსხვავებულ ეპოქათა სულიერ ერთობას გაესმის ხაზი: „აკაკი წერეთელმა ზუსტად მიაკვლია ეპოსის შინაარსში განფენილ საქართველოს ისტორიულ რელობას (მიუხედავად მძაფრი პოლემიკისა ილია ჭავჭავაძესთან, მათი მოსაზრებანი კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ავსებს, რაკიდა კერძო და ზოგადი „ვეფხისტყაოსანში“ ჰარმონიულად ესადაგება და მსჭვალავს ერთმანეთს. ორივე რაკურსით გაიაზრება ეპოსი)“ (ჩხეიძე, 2014).

როსტომ ჩხეიძე კვლავაც იხსენიებს თავისი კვლევის მაგისტრალური ხაზის ინსპირატორს, უთითებს: „როდესაც პავლე ინგოროყვა ჩვენი მწერლობის ამ ხანას „ადრეული რენესანსის“ სახელით იხსენიებს, მხოლოდ ტერმინს კი არ ესესხება დასავლელ მეცნიერებს, არამედ ათვალსაჩინოებს, რომ ეპოქა და მხატვრული მონაპოვარი, „ვეფხისტყაოსნით“ დაგვირგვინებული, თანხვდება დიად კულტურულ მოძრაობას, რომელიც მოგვიანებით გაიშალა ევროპაში და რენესანსის სახელით განისაზღვრა. ქართული რენესანსის დაბადება ისევე, როგორც იტალიური აღორძინებისა (დანტე), დაუკავშირდა ანტიკური ხანის საერო ლიტერატურასა და მითოლოგიას“ (ჩხეიძე, 2014; ჩხეიძე, 2015).

ეს ასპექტი საგანგებოდაა ხაზგასმული კვლევაში, როგორც საპირწონე ევოლუციური თეორიისა, თითქოს შუა საუკუნეთა ლიტერატურა უშუალოდ განვითარდა სასულიერო მწერლობიდან, ფილოსოფიურ მოძღვრებათა (მაგალითად, ნეოპლატონიზმის) გვერდის ავლით. მკვლევარი განსაკუთრებით მალვა ნუცუბიძის ღვაწლს გამოკვეთს საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა. როსტომ ჩხეიძის ესეისტურ-ბელეტრისტულ ნარკვევში „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“, ფართოდ აისახა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პოსტმოდერნისტული ანარეკლი, თუმცა ჩვენს მიერ წარმოდგენილი მსჯელობა, მხოლოდ ცალკეული ასპექტებია ავტორის უაღრესად საგულისხმო კვლევისა, რადგან ამჯერად, ყურადღება მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის პოსტმოდერნისტულ აღქმაზე შევაჩერეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- სირაძე (1987) რევაზ რევაზ. ქართული აგიოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“;
- ბაქრაძე (2004) აკაკი ბაქრაძე. მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება, წიგნში რწმენა (ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები). თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;
- ბაქრაძე (2003) აკაკი ბაქრაძე. კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, რედაქტორი, როსტომ ჩხეიძე, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი“.
- გამსახურდია (2014) კონსტანტინე გამსახურდია. ქართველობა და უცხოეთის გენია. პორტალი „ბურუსი“ <https://burusi.wordpress.com/2014/05/06/gam-sakhurdia-4/> (ბოლო ნახვა 2024, 12. 04);
- გამსახურდია (1983) კონსტანტინე გამსახურდია. ქართველობა და უცხოეთის გენია, თხზულებანი ათ ტომად, ტომი VII. თბილისი; გვ. 292-296;
- ინგოროყვა (2009) პავლე ინგოროყვა. თხზულებათ სრული კრებული, ტ. 2. ნაწ. 1. ისტორიული მომოხილვა V-X საუკუნეთა. როსტომ ჩხეიძის საერთო რედაქციით. გამოცემის რედაქტორი ვახტანგ ჯავახაძე; ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება;
- კუცია (2014) ნანა კუცია. ზედროულობის კონტექსტში (როსტომ ჩხეიძის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ ორკვირეული ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2014, 28 ნომბერი;
- ქიქოძე (1990) გერონტი ქიქოძე. მელანქოლიური შენიშვნები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო, 1990, 12 ოქტომბერი.
- ჩხეიძე (2014) როსტომ ჩხეიძე. ქართული მწერლობა თვალის გადავლებით. „ლიტერატურული პალიტრა“, N9-10;
- ჩხეიძე (2015) ქართული მწერლობა თვალის გადავლებით. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, თბილისი, „ჩვენი მწერლობა“;